



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 365

9 აგვისტო
“ --- ” ----- 2022 წ

ა. თბილისი

„ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული „მორიგების აქტი“-ს ნაწილობრივ აღსრულების მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118¹ მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის 1-ლი, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის, „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მეორეს მხრივ შპს „მარაგს“ (ს/ნ: 206071668) შორის 2022 წლის 2 მაისს გაფორმებული მორიგების აქტის, აგრეთვე, „ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული „მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1069.1157 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1069.1157 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონებების, მდებარე, ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159) 314 540 (სამასთოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი) აშშ დოლარის ოდენობით პირდაპირი განკარგვის ფორმით შპს „მარაგი“- სათვის (ს/ნ: 206071668) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. „ქალაქ თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) და 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთების და ქ. თბილისში, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159) „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1069.1157 განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური ჩაითვალოს „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინების შესაბამისად გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ - 314 540 (სამასთოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი) აშშ დოლარის ოდენობით, შესრულებად.“

3. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება

„მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი--/--/2022წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ №28/348-22 განჩინების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის---- ---- განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს----- ----საფუძველზე,

ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი /●/ მიერ /●/ და

მეორე მხრივ, შპს „მარაგი“ (ს/ნ: 206071668) (შემდგომში - „ქონების შემძენი“) წარმოდგენილი /●/ მიერ /●/

ვაფორმებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინების შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მიზნით პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

- ვინაიდან, სამოქალაქო საქმეში (საქმე №2/30866-18) სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ზიანის ანაზღაურება - 1 074 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ოდენობით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება - 903 737 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ოდენობით.

- ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/30866-18) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „მარაგის“ (ს/კ:

206071668) სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 1 074 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდა, ასევე, სახელმწიფო ბაჟი - 2 715 ლარის ოდენობით.

- ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ წარადგინა სააპელაციო საჩივარი.
- ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №28/4493-20) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მიღებული გადაწყვეტილებით შპს „მარაგის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
- ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №28/4493-20) საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნა შპს „მარაგის“ მიერ.
- ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 იანვრის განჩინებით (საქმე №ას-679-2021) შპს „მარაგის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №28/4493-20) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.
- ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ №28/348-22 განჩინებით დამტკიცდა მორიგების აქტი შპს „მარაგის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და მიზანი

1.1 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო „მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის №28/348-22 განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტის ნაწილობრივ აღსრულების მიზნით საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“):
ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე არსებული 767 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.457) მიწის ნაკვეთი

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № - მომზადების თარიღი --
-;

ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე არსებული 450 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.17.14.001.459) მიწის ნაკვეთი;

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № - მომზადების თარიღი ---;

ქ. თბილისი, ოქროყანას დასახლებაში არსებული 434 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.159)

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერი განცხადების რეგისტრაციის ნომერი: № - მომზადების თარიღი --
-;

1.2 ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 314 540 (სამას თოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი) აშშ დოლარი და აღნიშნული ჩათვლება მორიგების აქტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ნაწილობრივ - 314 540 (სამას თოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი) აშშ დოლარის ოდენობით - შესრულების სანაცვლოდ გადახდილად.

1.3 მორიგების აქტით გათვალისწინებული - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულება - შპს „მარაგი“- სათვის (ს/ნ: 206071668) ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ, 870 000 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონების/ქონებების გადაცემასთან დაკავშირებით, ჩაითვლება ნაწილობრივ შესრულებულად და დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებად განისაზღვრება - 555 460 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას სამოცი) აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონების/ქონებების შპს „მარაგი“- სათვის (ს/ნ: 206071668) საკუთრებაში გადაცემა, მორიგების აქტის პირველი პუნქტისა და 3.1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2. საპრივატიზებო პირობა

2.1. ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.17.14.001.457 და №01.17.14.001.459 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს: მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს საზოგადოებრივი ფუნქციით.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

3.1 ქონების შემძენს პრივატიზების საგანზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1 სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

4.2 ქონების შემძენი აცხადებს, რომ მის მიმართ შესრულდა მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება 314 540 (სამას თოთხმეტი ათას ხუთას ორმოცი) აშშ დოლარის ოდენობით მისთვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით.

4.3 ქონების შემძენი აცხადებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების შესაბამისად 01.18.06.012.159 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია სერვიტუტის უფლება №882021340804 განცხადებით (საგანი: 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთი), რაც არ მიიჩნევა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.

4.4 ქონების შემძენი აცხადებს, რომ არ მიიჩნევს უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად იმ ფაქტს, რომ №01.17.14.001.457 და №01.17.14.001.459 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და ტერიტორია ვერ აკმაყოფილებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ სამშენებლო მიწის ნაკვეთისთვის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლო განვითარება საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

4.5 ქონების შემძენი ვალდებულია, დაფაროს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4.6 პრივატიზების საგანზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, საპრივატიზებო პირობა ვალდებულებად დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამის საჯარო რეესტრის ამონაწერში აღირიცხება შემდეგი ჩანაწერი: „ქონება შეძენილია საპრივატიზებო პირობით“.

4.7 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე, ქონების შემძენს არ აქვს უფლება, სააგენტოს თანხმობის გარეშე გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად უფლებრივად (მათ შორის - იპოთეკით) დატვირთოს პრივატიზების საგანი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია შეძენილი ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

4.8 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენი ვალდებულია, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წერილობით წარუდგინოს ინფორმაცია საპრივატიზებო პირობის და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4.9 საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურებამდე პრივატიზების საგნის გასხვისების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია უძრავი ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იგივე საპრივატიზებო პირობით და ვალდებულებებით, რაც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებით (პრივატიზების საგნის გასხვისებამდე ქონების შემძენმა წინასწარ უნდა გააცნოს ეს ხელშეკრულება ახალ მესაკუთრეს). უძრავი ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სააგენტოს.

4.10 საპრივატიზებო პირობის შესრულება უნდა დადასტურდეს სააგენტოს მიერ.

4.11 საპრივატიზებო პირობის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. ქონების შემძენს დაეკისრება მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.

4.13 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული ქონება (ან მისი გამიჯვნის შედეგად, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში). ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ აღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირდება სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ქონების შემძენის ან სხვა ნებისმიერი პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

4.14 ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების შემდგომი გამოყენებისას და სამშენებლო განვითარებისას დაიცვას და გაითვალისწინოს კანონმდებლობით განსაზღვრული და უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1 საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

6.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინებასაჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს (მარეგისტრირებელ ორგანოს). თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეს.

7.4 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

შპს „მარაგი“ (ს/ნ: 206071668)